

27 დეკემბერი, 2012

ირაკლი პაჭკორია

მდგრადობა ექვივარიანტულ სტაბილურ  
ჰომოტოპიის თეორიაში

მოხსენება შეეხება ჰომოტოპიის თეორიების აქსომატიზაციასა და მოდელების ერთადერთობას. მიმოვიხილავთ მოდელების მდგრადობის ცნობილ თეორემებს. შემდეგ განვიხილავთ ჩვენს მიერ დამტკიცებულ მდგრადობის თეორემას ექვივარიანტულ სტაბილურ ჰომოტოპიის თეორიაში. ეს თეორემა ამბობს, რომ სასრული ჯგუფების საკმაოდ ფართო კლასისათვის 2-ლოკალურ ლუის-მეის ექვივარიანტულ სტაბილურ ჰომოტოპიურ კატეგორიას აქვს ერთადერთი ექვივარიანტული მოდელი ქვილენის აზრით. ეს არის შვედეს ცნობილი თეორემის ექვივარიანტული ვერსია.